დანაკლისი ფსიქოდინამიკურ ტრადიციაში

ნატო ლაღიძე,[1] მარინე ჩიტაშვილი[2]

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია დანაკლისის ცნება ფსიქოდინამიკურ ტრადიციაში, როგორც ინტრაფსიქიკური და ინტერფსიქიკური დინამიკური ძალა, რომელიც აღძრავს მუდმივად მოქმედ სურვილს, მონაწილეობს იდენტობის ფორმირებაში და წარმოქმნის გაუცხოების განცდას. სტატია აერთიანებს ფსიქოანალიზის კლასიკური და თანამედროვე, პოსტსტრუქტურალისტური მიდგომების წარმომადგენელთა მოსაზრებებს და ახდენს დანაკლისის კონცეპტუალიზაციას განსხვავებული ფსიქოანალიტიკური მოდელების ჭრილში.

განხილულია დანაკლისის ფუნქცია ზიგმუნდ ფროიდის, ჟაკ ლაკანის, იულია კრისტევასა და ადამ ფილიპსის თეორიებზე დაყრდნობით ინდივიდის მიერ რეალობის განცდის ინტრაფსიქიკურ და ინტერფსიქიკურ განზომილებებში. ინტრაფსიქიკურ რეალობაში დანაკლისის ძირითადი ფუნქცია ბაზისურ მოთხოვნილებებს უკავშირდება და სურვილის მუდმივად აქტიურ მდგომარეობაში შენარჩუნებას ისახავს მიზნად, რომელიც წარმოსახულიდან სიმბოლურ რეგისტრში გადასვლის შემდეგ დედისგან სეპარაციის შედეგად ჩნდება და განაპირობებს გაუცხოებას საკუთარ თავთან. ინტერფსიქიკურ რეალობაში კი დანაკლისის განცდა სცდება ფსიქიკას, კულტურულ და სოციალურ განზომილებებში გადადის და აგენტობის წყაროდ იქცევა, რომელიც ინდივიდს უბიძგებს პიროვნული ზრდის, თვითრეფლექსიისა და შემოქმედებითი თვითგამოხატვისკენ.

დანაკლისის შედეგად წარმოქმნილი გაუცხოების განცდა ფსიქიკისთვის ერთდროულად ნეგატიურიცაა და კრეატიული პოტენციალის მატარებელიც. ნაშრომი აღწერს, როგორ უწყობს ხელს სუბლიმაცია, ფანტაზიის გადალახვა და „შინაგანი უცხოობის“ სიმბოლიზაცია დანაკლისით გამოწვეულ შინაგან კონფლიქტთან და ფრუსტრაციასთან გამკლავებას. დასკვნით ნაწილში განხილულია დანაკლისის განცდის დაძლევის პოტენციური გზები.

საკვანძო სიტყვები: *დანაკლისი, სურვილი, გაუცხოება, ფსიქოანალიზი, აგენტობა*

1. შესავალი

დანაკლისი ფსიქოდინამიკურ ტრადიციაში ფსიქიკის არსებობის საფუძვლად განიხილება. ლექსიკონური განსაზღვრებების[3] მიხედვით ტერმინი „დანაკლისი“ (ინგ. lack; ფრანგ. manque) პირდაპირ უკავშირდება ნაკლს, ნაკლოვანებას, დეფიციტს. თუმცა ფსიქოანალიტიკურ ჩარჩოში დანაკლისი იშვიათად ატარებს ნეგატიურ კონოტაციას და ითვლება კონსტრუქციულ ძალად, რომელიც ფსიქიკაში წონასწორობას არღვევს,

---

[1] ნატო ლაღიძე, დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

[2] მარინე ჩიტაშვილი, პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

[3] *“Lack,”* Cambridge Dictionary, accessed April 6, 2025, https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/lack.
“Lack,” Merriam-Webster Dictionary, accessed April 6, 2025, https://www.merriam-(Bolognini, 2004) webster.com/dictionary/lack.

განაპირობებს ჭარბი ენერგიის დაგროვებას და ხელს უწყობს მუდმივად დაუკმაყოფილებელი სურვილის აქტიურ მდგომარეობაში შენარჩუნებას.

კლასიკურ ფსიქოანალიტიკურ შრომებში დანაკლისის ოპერაციული განმარტება არ გვხვდება, თუმცა ეს ტერმინი ძირეულია სხვა ისეთი კონცეპტების განსაზღვრისთვის, როგორებიცაა კმაყოფილება (satisfaction), ფრუსტრაცია (frustration), უარყოფა (denial), ნაწილობრივი ობიექტი (part-object) და კასტრაციის კომპლექსი (castration complex). კერძოდ, ლაპლანშისა და პონტალისის „ფსიქოანალიზის ენაში" (1973) ტერმინი „დანაკლისის" 36 შემთხვევა გვხვდება, რომელთა უმრავლესობა უკავშირდება კასტრაციის შფოთვას (მაგ., პენისის დანაკლისი, კმაყოფილების დანაკლისი), ნაწილი – მნიშვნელოვანი ობიექტის დაკარგვას (მაგ., სიყვარულის ობიექტის დაკარგავა, რეალური ობიექტის დანაკლისი), ზოგიერთი შემთხვევა კი სურვილის დაკმაყოფილების შეუძლებლობას ეხება (მაგ., სექსუალური ინსტინქტებით ან ინსტინქტური იმპულსით კმაყოფილების მიღწევის დანაკლისი). ნათელია, რომ ფსიქოდინამიკურ ტრადიციაში დანაკლისი არ არის გაიგივებული ნაკლთან. დანაკლისი აქტიური, ქცევის აღმძვრელი ძალაა, რომლის არსებობაზეა დაშენებული კლასიკური თუ თანამედროვე ფსიქოდინამიკური თეორიების დიდი ნაწილი. თუ ფროიდისთვის დანაკლისის განცდა კასტრაციის შფოთვას უკავშირდება (Freud, 1923), ჟაკ ლაკანისთვის ეს კონცეპტი „სიმბოლური წესრიგის" განუყოფელი ნაწილია, რადგანაც დანაკლისი სრულყოფილების, მთლიანობის ძიების საფუძველი და სურვილის მიუღწეველი ობიექტის (objet petit a) მუდმივი ძიების წინაპირობაა (Lacan, 1978). ამას ადასტურებს ოქსფორდის კრიტიკული თეორიის ენციკლოპედიაც, სადაც ტერმინი „დანაკლისი" (manque) განსაზღვრულია, როგორც „სურვილის მამოტივირებელი მიზეზი ჟაკ ლაკანის ფსიქოანალიტიკურ თეორიაში", რომელიც კასტრაციის სინონიმია და ლაკანის ნაშრომებში ვლინდება, როგორც „რღვევა აღმნიშვნელთა ჯაჭვში, რომელიც აღკვეთს აღნიშნულის ხელმისაწვდომობას" (Buchanan, 2018).

შესაბამისად, დანაკლისი ფსიქოანალიტიკურ დისკურსში განხილულია, როგორც ქცევის მამოძრავებელი ვექტორი, სურვილის აქტიურ მდგომარეობაში შემანარჩუნებელი ძალა. კლასიკურ ფსიქოანალიზში ეს ძალა არ სცდება ინტრაფსიქიკურ რეალობაში არსებული ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგალითად, ფროიდის კასტრაციის კომპლექსის (Freud, 1905) ფენომენის განხილვისას ლაპლანში და პონტალისი (1973) აღნიშნავენ, რომ ობიექტისგან (დედისგან) სეპარაციის შემდეგ ბავშვი ომნიპოტენტობის განცდას კარგავს და აცნობიერებს, რომ მისი სურვილები ყოველთვის ვერ იქნება დაკმაყოფილებული. სწორედ ამ დროს განიცდება დანაკლისი პირველად – იქნება ეს პენისის დანაკლისი გოგონებთან, თუ ფალოსის – ძალაუფლების სიმბოლოს დაკარგვის შიში ბიჭებთან. ფროიდს მსგავსად, ლაკანისთვის დანაკლისი სურვილს უკავშირდება და განისაზღვრება, როგორც „არსებობის დანაკლისის მეტონიმია" (Nobus, 2017, p. 161), რაც იმას ნიშნავს, რომ სურვილი ენის მსგავსადაა სტრუქტურირებული და მხოლოდ ინტრაფსიქიკურ რეალობაში არსებობს. თანამედროვე ფსიქოანალიტიკოსი თეორეტიკოსებისთვის კი დანაკლისი უფრო მეტად აგენტობის მამოტივირებელი ძალაა, რომელიც სცდება სუბიექტის პირად საჭიროებებს, ინაცვლებს ინტერსუბიექტურ რეალობაში და ბაზისური საჭიროებების გადაჭრის

გზების ძიების ნაცვლად ისეთ ეგზისტენციალურ საკითხებს ეხება, როგორებიცაა შინაგანი გაუცხოების, საკუთარი თავისგან დაშორების განცდა (Kristeva, 1991) და ალტერნატიული ცხოვრების გზების გამოუყენებლობის შედეგად განცდილი ფრუსტრაცია (Phillips, 2012).

ქვემოთ დანაკლისის ცნება განხილული იქნება ერთი მხრივ, როგორც სურვილის მამოძრავებელი ინტრაფსიქიკური ძალა კლასიკური ფსიქოდინამიკური ტრადიციის ჭრილში, მეორე მხრივ კი, როგორც იდენტობის ფორმირების, პიროვნული ზრდისა და თვითგამორკვევის საფუძველი თანამედროვე პოსტსტრუქტურალისტური და ფსიქოანალიტიკური მიდგომების მიხედვით. კერძოდ, ლაკანის სიმბოლური კასტრაციის (1978), იულია კრისტევას ფენომენზე „უცხო შიგნით“ (foreigner within) (1991) და ადამ ფილიპსის „უცხოვრებელი ცხოვრების“ (unlived life), როგორც ყოველდღიური ფრუსტრაციის წყაროს იდეაზე (2012) დაყრდნობით დანაკლისი გაანალიზებულია, როგორც ინტრაფსიქიკური და ინტერფსიქიკური დინამიკური ძალა, რომელიც არასდროს გვაძლევს საშუალებას, დავიკმაყოფილოთ სურვილი. ეს კი, თავის მხრივ, ინდივიდს აქტიურ მოქმედ პირად, აგენტად აქცევს, რომელიც თავისუფალი ნების საფუძველზე შეესაძლებელს ხდის ეს დესტრუქციული ძალა პიროვნული ზრდისა და კრეატიული გამოხატვისკენ მიმართოს.

2. დანაკლისის ფუნქცია

კლასიკურ და პოსტფროიდიანულ ფსიქოანალიზში დანაკლისის არსებობა ფსიქიკის ყველაზე ბაზისური დონიდან იწყება და უნივერსალურ ადამიანურ მოთხოვნილებას – სურვილის დაკმაყოფილებას მიემართება (Freud, 1905; Lacan, 1978; Maslow, 1943). თუმცა პოსტსტრუქტურალისტ ფსიქოანალიტიკურ ტრადიციაში დანაკლისი სცდება ბაზისურ მოთხოვნილებაზე ორიენტაციას, რომელსაც არ სჭირდება სუბიექტის აქტიური ჩართულობა და უფრო მაღალი დონის, კომპლექსურ პიროვნულ და სოციალურ პროცესებს უკავშირდება, რომლებიც საჭიროებს აგენტობას და რომელთა საბოლოო შედეგი თვითაქტუალიზაციაა (Kristeva, 1991; Phillips, 2012).

2.1. დანაკლისი, როგორც დაუკმაყოფილებელი სურვილის არსებობის წინაპირობა

ლაკანისთვის დანაკლისი სუბიექტის არსებობისთვის აუცილებელი წინაპირობაა. მის მიხედვით, ადამიანი არასდროსაა სრულყოფილი და ყოველთვის მიილტვის რაღაც მოუხელთებელისკენ. ლაკანი ერთმანეთისგან განასხვავებს „ქონის დანაკლისს“ (ფრანგ. manque à avoir), რომელიც მატერიალურია და სურვილის ნაცვლად მოთხოვნილებას წარმოქმნის და „ყოფის დანაკლისს“ (ფრანგ. manque à être), რომელიც ფსიქიკის სტრუქტურული საფუძველია და უზრუნველყოფს სურვილის მუდმივად აქტიურ მდგომარეობაში შენარჩუნებასა და მიუღწეველი ობიექტისკენ უწყვეტ სწრაფვას (Lacan, 1998). ამ სურვილის დაუკმაყოფილებლობის მიზეზი ის არის, რომ აღმნიშვნელების სიმბოლურ სამყაროში შებიჯების შემდეგ შეუძლებელია ომნიპოტენტობის განცდის აღდგენა – დედასთან ერთობის დაკარგვა და „დიდ სხვასთან“ (the Other), ენისა

და სოციალურ კანონებთან შეჯახება სიმბოლურ ფალოსს წარმოქმნის, რომელიც სამუდამოდ დაკარგული ძალაუფლების სიმბოლოა. სწორედ ამიტომ, ლაკანთან ფალოსი შესაძლოა დანაკლისის კონცეპტის აღმნიშვნელად (signifier) ჩაითვალოს, სიმბოლური კასტრაცია კი, რომელიც ფუნდამენტურად უკავშირდება ბავშვის მიერ „მამის სახელის" (Name-of-the-Father) მიღებას და, შესაბამისად, მის შესვლას სიმბოლურ წესრიგში (Lacan, 2019), დანაკლისის კიდევ ერთი სიმბოლოა ლაკანთან, რადგან ბოლომდე ვერასდროს აისახება ცნობიერში ენობრივი სიმბოლოების მეშვეობით.

ამ მარადიული დანაკლისის განცდაში მნიშვნელოვანია ლაკანის „პატარა ობიექტი (ფრანგ. object petit a), რომელიც ასახავს წარმოსახულ განზომილებაში დაკარგულ ობიექტს, დედასთან ერთობის ილუზიას. ეს ობიექტი ვეღარასდროს იქნება აქტუალური და ხელშესახები, რის გამოც სურვილი ყოველთვის მიმართულია ახალ ობიექტებსა და ფანტაზიებზე. ამგვარად, დანაკლისი, როგორც სტრუქტურული ძალა, ინდივიდს მუდმივად უბიძგებს რეალურთან (*the Real*) დაპირისპირებისა და სიმბოლური მნიშვნელობების ძიებისკენ, რაც, თავის მხრივ, სურვილს მუდმივად აქტიურ მდგომარეობაში ინარჩუნებს და არასოდეს აძლევს საშუალებას ბოლომდე დაკმაყოფილდეს.

აღსანიშნავია, რომ დანაკლისის გაცნობიერება წარმოშობს გაუცხოებისა (alienation) და გაუჩინარების (aphanisis) საფრთხეს (Lacan, 1978). ლაკანი ტერმინს „გაუჩინარება" იყენებს იმ მომენტის აღსაწერად, როცა სუბიექტის სურვილს ფარავს ან საფრთხის წინაშე აყენებს „სხვისი" (the Other) მოთხოვნები. გაუცხოება კი ასახავს პროცესს, რომლის დროსაც სუბიექტი სელფის ნაწილს თმობს და „სწირავს" მნიშვნელობების სამყაროს.

2.2. დანაკლისი, როგორც თვითგამორკვევის საფუძველი

თუ ფროიდისა და ლაკანის ფსიქოანალიზში დანაკლისი მხოლოდ ბაზისური მოთხოვნილებების აქტიურ მდგომარეობაში შენარჩუნებას ემსახურება, თანამედროვე პოსტსტრუქტურალისტურ მიდგომებში ამ კონცეპტის მნიშვნელობა საგრძნობლადაა გაფართოებული. კერძოდ, დანაკლისს ჩამოშორებული აქვს დაუკმაყოფილებელ სურვილთან ასოცირებული ნეგატიური კონოტაცია და აღიქმება პიროვნული ზრდისა და კრეატიული თვითგამოხატვის საშუალებად. ამ მიდგომის თვალსაჩინო მაგალითებია იულია კრისტევასა (1991) და ადამ ფილიპსის (2012) თეორიული მოდელები, სადაც დანაკლისი პირდაპირაა დაკავშირებული მასლოუს თვითაქტუალიზაციის იდეასთან (Maslow, 1943).

კრისტევასთან დანაკლისი ინტერპერსონალურ და კულტურულ დონეზე აქტიურდება და „შინაგან უცხოობაში" (foreigner within) გამოიხატება, რომელიც განისაზღვრება, როგორც სელფის ფრაგმენტირებული, შეუთვისებელი ნაწილი, რომელიც წინააღმდეგობას უწევს მასთან სრულ ინტეგრაციას. ეს კი, თავის მხრივ, ინდივიდს მუდმივად მოქმედების პროცესში ამყოფებს და უბიძგებს თვითრეფლექსიისა და კრეატიული თვითგამოხატვისკენ (Kristeva, 1991). აღნიშნულის შესაბამისად, კრისტევა იდენტობას განიხილავს, როგორც „სუბიექტს პროცესში" (le sujet en procès) – ის არასდროსაა სტატიკური, ყოველთვის ვითარდება დანაკლისის განცდის საფუძველზე. სწორედ ეს დანაკლისი უბიძგებს სუბიექტს, საკუთარ თავში აღმოაჩინოს სიმბოლური გამოხატ-

ვის საშუალებები, რომელიც აუცილებელია როგორც კულტურული ინტეგრაციისთვის, ისე თვითრეფლექსიისა და კრეატიული თვითგამოხატვისთვის.

დანაკლსიის ფუნქცია კიდევ უფრო მაღალი დონის ფსიქიკურ პროცესებთანაა დაკავშირებული ადამ ფილიპსის თეორიაში (2012), რომლის მიხედვით დანაკლისის განცდა ჩნდება ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების გააზრების შემდეგ და ყოველდღიურ ცხოვრებაში ფრუსტრაციის განცდას აძლევს ბიძგს. ამ განცდის შედეგი, ერთი მხრივ, შეიძლება სტაგნაცია იყოს – უიმედობა, რომ ოდესმე სურვილი დაკმაყოფილდება. თუმცა, მეორე მხრივ, ფრუსტრაციამ შესაძლოა დანაკლისი პიროვნული განვითარების, მეტიც, ზოგჯერ პოსტტრავმული ზრდის რესურსად აქციოს, რაც კარგად ასახავს დანაკლისის კავშირს სუბიექტური აგენტობისა და თავისუფალი ნების განხორციელების პოტენციალთან.

აქედან გამომდინარე, ფილიპსის მოდელში დანაკლისი ინტერსუბიექტური და ფსიქოლოგიური გამოცდილებაა, რომლის საფუძველს წარმოქმნის „უცხოვრებელი ცხოვრება". წიგნში „გამოტოვება" (Phillips, 2012), ფილიპსი „უცხოვრებელ ცხოვრებას" განსაზღვრავს, როგორც ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებს, ალტერნატიულ არჩევან(-ებ)სა და განუხორციელებელ სურვილებს, რომლებიც რჩება ჩვენს ფსიქიკაში, როგორც შინაგანი კონფლიქტი რეალურსა და ფანტაზიას, ახლანდელსა და პოტენციურად შესაძლებელს შორის. ეს კონფლიქტი წარმოშობს ფრუსტრაციას. ეს იმას ნიშნავს, რომ ფილიპსისთვის დანაკლისი უფრო მეტად ეგზისტენციალური განცდაა. ამ დანაკლისის განცდასთან ჰარმონიაში მოსვლა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ინდივიდი ინტროსპექციის საშუალებით შეეცდება საკუთარი ამჟამინდელი ცხოვრების საზღვრების, ალტერნატივებისა და პირადი თავისუფლების გააზრებას.

თუ ფილიპსისთვის დანაკლისი მომავალზეა ორიენტირებული, რადგან ინდივიდი მუდმივად ახდენს საკუთარი ცხოვრების ალტერნატიული გზების ანალიზს და შემოქმედებით გარდაქმნას, მისგან განსხვავებით, კრისტევა დანაკლისს ხედავს, როგორც აწმყოში მუდმივად მიმდინარე პროცესს, რომელიც ცვლის და განამტკიცებს დანაკლისს სურვილის ახალი ობიექტების გაჩენის შედეგად. სურვილის ამ მუდმივმოქმედ ფუნქციას კარგად აღწერს კრისტევას ცნებები „უცხოობა" (foreignness) და „სუბიექტი პროცესში" (the subject in process), რომელიც იმ სურვილის მეტაფორაა, რომელიც ყოველთვის ეძებს სტაბილურ ნიადაგს. ლაკანის თეორიაში დანაკლისი წარსულზეა ორიენტირებული, რადგანაც იმ დანაკარგის საფუძველზე წარმოიშვება, რომელიც უკვე მოხდა წარსულში (დედისგან სეპარაცია და ენის სამყაროში შესვლა), რის გამოც ინდივიდი ცდილობს დაკარგული ობიექტის სიმბოლური ფორმით აღდგენას. შესაბამისად, მისი შეხედულება პრინციპულად განსხვავდება კრისტევასა და ფილიპსისგან, რადგანაც ლაკანთან სურვილის ობიექტი ყოველთვის მიუღწეველი, უკვე დაკარგულია.

2.3.დანაკლისი და იდენტობის ჩამოყალიბება

სურვილის მუდმივად აქტიურ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და თვითგამოხატვის გარდა, დანაკლისის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია იდენტობის ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობაა. რადგანაც სუბიექტი არასდროს გრძნობს თავს სრულყოფილად, ის მუდმივად ცდილობს ამ დანაკლისის შევსებას როგორც ინტრა, ასევე, ინტერსუბიექტური გზებით.

ლაკანთან იდენტობის ფორმირება ეფუძნება სიმბოლურ წესრიგში შესვლის შედეგად გაჩენილ მუდმივ დანაკლისს, როდესაც დედისგან სეპარაციის შემდეგ პირველად ხდება საკუთარი თავის ცალკეულ სუბიექტად აღქმა (Lacan, 1978). თუ ლაკანი დანაკლისს მუდმივ მოცემულობად განიხილავს და არ საუბრობს მისი გადაჭრის გზებზე, კრისტევა და ფილიპსი ამ ფენომენს ჰუმანისტური ტრადიციის ჩარჩოში იაზრებენ, ნეგატიური მნიშვნელობისგან ათავისუფლებენ და არ გამორიცხავენ დანაკლისის პოტენციალს, რომ იქცეს იდენტობის ჩამოყალიბების პროდუქტიულ ძალად, რადგან ინდივიდი მუდმივად ცდილობს სიმბოლური ობიექტებისა და მნიშვნელობების ძიებით საკუთარი სუბიექტურობისა და სელფის სტაბილურობის აღდგენას. ერთი მხრივ, „შინაგანი უცხო“ მუდმივად უბიძგებს სუბიექტს საკუთარ თავში ახალი, შეუთვისებელი ნაწილების აღმოჩენისკენ (Kristeva, 1991). გარდა ამისა, იდენტობა ყოველთვის დინამიკურია – ის არასდროს აღწევს საბოლოო, სრულყოფილ ფორმას, რადგანაც თავად დანაკლისი მუდმივ აქტიურობას გულისხმობს და სუბიექტს ეხმარება თვითანალიზის, ალტერნატიული შესაძლებლობების აღმოჩენისა და საკუთარი იდენტობის ხელახლა განსაზღვრის პროცესში (Phillips, 2012).

2.4. დანაკლისი ინტრაფსიქიკურ და ინტერფსიქიკურ რეალობაში

დანაკლისის ფენომენის გააზრება შესაძლებელია ორი ურთიერთდაკავშირებული პერსპექტივის, *ინტრაფსიქიკური* და *ინტერფსიქიკური* განზომილებების საფუძველზე. ინტრაფსიქიკური რეალობა ინდივიდის შინაგან მენტალურ სივრცეს გულისხმობს, ინტერფსიქიკური კი „ორი გონების რეციპროკულ ურთიერთქმედებას (Bolognini, 2004). შესაბამისად, სცდება სუბიექტის ფსიქიკას და მის გარეთ არსებულ სოციალურ და კულტურულ კონტექსტსაც მოიცავს.

დანაკლისი ინტრაფსიქიკურ და ინტერფსიქიკურ განზომილებებში განსხვავებულად ფუნქციონირებს და განსხვავებულ გავლენას ახდენს სუბიექტის ფსიქიკასა და ქცევაზე. ინტრაფსიქიკური რეალობის ფარგლებში, რომელიც ინდივიდის ფსიქიკიური პროცესების შინაგან ურთიერთქმედებას ეხება (Bolognini, 2004), დანაკლისი ფსიქიკური სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს სურვილის აქტიურ მდგომარეობაში შენარჩუნებას. კერძოდ, ფროიდისა და ლაკანის მოდელებში (მაგ., Freud, 1923; Lacan, 1978) დანაკლისი შეიძლება განვიხილოთ ფსიქიკური სტრუქტურის ძირითად ელემენტად, რომელიც საფუძვლად უდევს სურვილს, ფანტაზიებსა და არაცნობიერ პროცესებს და განაპირობებს ფსიქიკური ცხოვრების დინამიკურ ბუნებას. შედეგი შინაგანი კონფლიქტი, გაუცხოება და არასრულყოფილების განცდაა, რაც სუბიექტს უბიძგებს საკუთარი შინაგანი სამყაროს უფრო ღრმა ანალიზისა და ინტეგრაციისკენ.

ინტერფსიქიკური რეალობა კი მოიცავს იმ ფსიქიკურ პროცესებს, რომლებიც ინდივიდებს შორის ურთიერთობებისა და სოციალური ინტერაქციების ფარგლებში ხდება (Bolognini, 2004). ამ შემთხვევაში, ინდივიდის ფსიქიკის საშენ მასალად გარემოში არსებული სოციალური და კულტურული მნიშვნელობები, სიმბოლოები, ნორმები თუ სხვა ადამიანების ინტერპერსონალური გამოცდილებები გვევლინება, რომელთა ინტერნალიზაციის შედეგადაც სუბიექტი ახდენს საკუთარ ფსიქიკურ რეალობაში ამ

ელემენტების ინტეგრაციას. გამოდის, რომ დანაკლისი სცდება სუბიექტის ფსიქიკას და ფუნქციონირებს, როგორც სოციალური და კულტურული ურთიერთქმედების მამოტივირებელი ძალა.

კრისტევასთან (1991) ეს პროცესი გამოიხატება, როგორც სუბიექტის მუდმივი მცდელობა, ინტეგრირდეს სოციალურ გარემოში, რათა დაძლიოს გაუცხოება. მის მიხედვით, „უცხოობა“ (foreignness) არა მხოლოდ სუბიექტის უნიკალური, შინაგანი განცდაა, არამედ სხვებთან ურთიერთობისას გაჟღერებული შინაარსების ფსიქიკაში ინტეგრაციის შედეგია, რადგანაც სუბიექტი სხვისი თვალით ხედავს საკუთარ თავს, გარემოში არსებული შინაარსები შეაქვს საკუთარ ფსიქიკაში. ეს კი იწვევს გაუცხოებას. აქედან გამომდინარე, დანაკლისი აღარ არის მხოლოდ დაკარგული ობიექტის ძიება და ხდება სოციალური ინტერაქციის პროდუქტიც.

სწორედ ინტერფსიქიკურ განზომილებას ეხება ფილიპსიც (2012), როდესაც საუბრობს ყოველდღიურ ურთიერთობებში „უცხოვრებელი ცხოვრების“ განცდაზე – ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებზე, რომელთა შესახებ ვერასოდეს გაიგებდა ინდივიდი, სხვა ადამიანებთან რომ არ შესულიყო ინტერაქციაში. შესაბამისად, ფილიპსთან დანაკლისი ინტერსუბიექტურობის საფუძვლადაც კი შეიძლება განვიხილოთ, რომელიც სუბიექტს უბიძგებს, რომ შიდა კონფლიქტის (ამ შემთხვევაში, ფრუსტრაციის) პასიურად, ინტრაფსიქიკურად გადაჭრის ნაცვლად, აქტიურ ურთიერთქმედებაში შევიდეს გარემოსთან – მუდმივად ეძიოს ახალი სოციალური გამოცდილებები და მათ საფუძველზე შეძლოს საკუთარი ნარატივის შემოქმედებითი რეფორმულირება.

3. დანაკლისის შედეგი

მუდმივად დაუკმაყოფილებელი სურვილის საფუძველზე წარმოქმნილი დანაკლისი ბუნებრივად იწვევს გაუცხოებას სხვებისგან, ზოგჯერ სოციალური ნორმებისგან და ყველაზე მწვავედ, საკუთარი თავისგან. სწორედ საკუთარი თავისგან გაუცხოება მიიჩნევა ფსიქოდინამიკურ ტრადიციაში დანაკლისის პროდუქტად.

ზოგადად ტერმინი „გაუცხოება“ ახლოსაა ფსიქიკური კონფლიქტის კონცეფციასთან, როცა იდის არაცნობიერი სურვილები, რაციონალური ეგო და სუპერეგოს მოთხოვნები ერთმანეთს უპირისპირდება (Freud, 1923). ეს დაძაბულობა იმდენად მდგრადი და მწვავეა, რომ დროთა განმავლობაში ეგო იხლიჩება და მისი ნაწილები არაცნობერში რეპრესირდება. სხვა სიტყვებით, გაუცხოება მაშინ წარმოიქმნება, როცა ინდივიდი აცნობიერებს განსხვავებას საკუთარ ახლანდელ ყოფასა და იდეალურ რეალობას შორის. თუმცა გაუცხოება მხოლოდ ინტრაფსიქიკურ რეალობაში აქტიურად მოქმედი დაუკმაყოფილებელი სურვილის შედეგი არ არის და მაშინაც წარმოიქმნება, როცა ინდივიდი სოციალური ურთიერქმედების პროცესში აღმოაჩენს, რომ რაღაც აკლია სრულყოფილებამდე და ამ რაღაცის გამო ის ვეღარასდროს დაბრუნდება დედასთან პირვანდელ „ერთობაში. ამ დროს სუბიექტი იძულებული ხდება მოახდინოს იმ სურვილების რეპრესირება, რომლებიც არ ერგება სიმბოლური სამყაროს საზღვრებს. ეს კი გაუცხოებას განაპირობებს, რადგანაც ხდება იდენტობა ფრაგმენტაცია – ინდივიდის ავთენტურ „მე-ს“ ბოლომდე არასდროს ერგება გარემოში არსებული შინაარსები და

შედეგად იწყება საკუთარი თავის აღქმა, როგორც „უცხოსი“ სიმბოლური სამყაროს ფარგლებში (Kristeva, 1991).

ამასთან, გაუცხოების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ინდივიდი უჩინარდება აღმნიშვნელების მიღმა. რადგანაც მეტყველების დაწყებისას სიტყვებს უკვე აქვთ სხვების მიერ წინასწარ მინიჭებული მნიშვნელობები, სუბიექტს აღარასდროს რჩება სრული თვითშემეცნების შესაძლებლობა. სწორედ ეს განაპირობებს მის გახლეჩვას – სიმბოლურ წესრიგში ადამიანს ყოველთვის აქვს დანაკლისის განცდა, არაცნობიერად ყოველთვის იცის, რომ ავთენტური სელფი სამუდამოდ დაკარგა (Lacan, 1978).

ამრიგად, დანაკლისის მიზეზით გამოწვეული გაუცხოება ინტრა და ინტერფსიქიკური რეალობების ერთობლივი მოქმედების შედეგია. ერთი მხრივ, სუბიექტი საკუთარმა ფსიქიკამ დააშორა წარმოსახულ რეალობას. მეორე მხრივ კი, გაუცხოება მხოლოდ პიროვნული არ არის – დედასა და შვილს შორის სიმბოლური კავშირის დაკარგვა ენასა და მნიშვნელობასთნ დაკავშირებული კრიზისია, რადგანაც სიმბოლურ რეგისტრში შესვლის შემდეგ სუბიექტი კარგავს უნარს გამოთქვას, რა არის მისი დანაკარგი. თუმცა დანაკლისის შედეგი მხოლოდ საკუთარ თავთან გაუცხოება და სიმბოლურ გარემოსთან პასიურად ადაპტირების მცდელობა არ არის. დანაკლისის განცდა ფსიქიკას მუდმივად კონფლიქტურ მდგომარეობაში ამყოფებს – სუბიექტი ფრუსტრაციას განიცდის რეალურ და იდეალურ ცხოვრების გზებს შორის არსებული განსხვავების გამო. ეს ფრუსტრაცია კი მოტივატორად იქცევა ახალი ობიექტებისა და მნიშვნელობების ძიებისკენ, რაც განაპირობებს კრეატიული პოტენციალის რეალიზებასა და პიროვნულ ზრდას – გაუცხოების განცდის დაძლევისა და თვითგამოხატვისთვის აუცილებელ წინაპირობებს.

ასე რომ, დანაკლისი მრავალფუნქციური ფსიქიკური ძალაა, რომელიც წარმოშობს ამბივალენტურ ფსიქიკურ შედეგებს: ერთი მხრივ, ადამიანის ემოციურ მდგომარეობასა და თვითაღქმაზე ახდენს ნეგატიურ გავლენას, მეორე მხრივ კი ქმნის პიროვნული ზრდისა და თვითრეალიზაციისთვის საჭირო პირობას.

4. დანაკლისის დაძლევა

როგორც კლასიკური, ასევე პოსტფროიდიანული ფსიქოანალიტიკური მოდელების თანახმად, დანაკლისი ადამიანის ფსიქიკის განუყოფელი ნაწილი და სურვილის მუდმივად თანმდევი შედეგია. შესაბამისად, მისი სრულყოფილად აღმოფხვრა შეუძლებელია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკის ბუნება ადაპტურია და ყოველთვის მიისწრაფვის კონფლიქტის აღმოფხვრისა და დარღვეული წონასწორობის აღდგენისკენ.

ერთი მხრივ, დანაკლისის დაძლევის ყველაზე ადაპტური მექანიზმი სუბლიმაციაა (Freud, 1905) – ჭარბი ენერგია, რომელიც ფსიქიკაში დაუკმაყოფილებელი სურვილის გავლენით მუდმივად გროვდება, ყოველთვის შეიძლება რეალიზდეს კულტურულ, შემოქმედებით ან ინტელექტუალურ საქმიანობაში. თუმცა აუცილებელი არ არის ენერგიის მიმართვა გარე სამყაროზე მოხდეს – ლაკანის მოდელის მიხედვით, შესაძლებე-

ლია დანაკლისის თანმდევი დაძაბულობის განცდის დაძლევა ინტრაფსიქიკურადაც. ამისთვის, ინდივიდმა უნდა „გადაკვეთოს ფანტაზია“ (traverse the fantasy), ანუ გაიაზროს, რომ სურვილის ობიექტი მუდმივად მიუღწეველი დარჩება (Lacan, 1998). შედეგად შესაძლებელი გახდება დანაკლისით გამოწვეული დაძაბულობის ინტენსივობის შემცირება და საკუთარი მოლოდინების რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მეორე მხრივ, დანაკლისის განცდის გადალახვა სუბიექტის მიზანმიმართულ მოქმედებას საჭიროებს, რათა მოხდეს შინაგანი უცხოობის ცნობიერად მიღება, რომლის საშუალებად კრისტევა მელანქოლიას მიიჩნევს. ცხადია, მელანქოლია ვერ ჩაითვლება დაძლევის ადაპტურ გზად იმ გაგებით, რომ სელფის გარკვეულ ასპექტებზე უარის თქმას მოიაზრებს. მაგრამ კრისტევა თვლის, რომ საჭიროა გაუცხოების განცდის სიმბოლიზაცია წერით, ხელოვნებით ან რეფლექსიით, რათა ინდივიდი მიხვდეს მელანქოლიის მიზეზს და ნაწილობრივ მაინც დაუკავშირდეს დანაკლისს ენის საშუალებით.

ნებისმიერ შემთხვევაში, დანაკლისი იქცევა პროდუქტიულ ძალად, რომელიც სუბიექტს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ შესაძლებელია დანაკლსიის საფუძველზე წარმოქმნილი გაუცხოების კონსტრუქციულად გამოყენება. ეს კი ხდება იმ „უცხოვრებელი ცხოვრების“ ნაწილობრივ დაბრუნების შესაძლებლობა, რომლის შედეგად წარმოქმნილ ფრუსტრაციასთან გამკლავებაში, ფილიპსის მიხედვით, ილუზია გვეხმარება. მიუხედავად ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკიდურესმა ფრუსტრაციამ ადამიანი შესაძლოა დესტრუქციულ ქცევებამდე მიიყვანოს. მეორე მხრივ, ფილიპსის სიტყვებით, „მოქმედი სიგიჟე“ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი. ზოგადად კი დანაკლისის განცდა ადამიანს ეხმარება, რომ ისწავლოს ფრუსტრაციასთან ერთად ცხოვრება და დეფიციტის შევსების ნაცვლად ამ დეფიციტის არსებობაში იპოვოს მნიშვნელობა (Phillips, 2012, pp. 169-201).

ამრიგად, ფსიქოანალიტიკური ტრადიცია არ სთავაზობს ინდივიდს დანაკლისის აღმოფხვრის გზებს, მაგრამ აქტიურად უბიძგებს მისი დაძლევის ალტერნატიული გზების ძიებისკენ, რაც, საბოლოოდ, პიროვნული და სოციალური განვითარების წინაპირობად იქცევა.

5. დასკვნა

ზემოთ განხილულ ფსიქოანალიტიკურ ნაშრომებზე დაყრდნობით, დანაკლისი ფსიქოანალიტიკურ დისკურსში ვერ ჩაითვლება მხოლოდ დეფიციტის, ნაკლოვანების სინონიმად. როგორც კლასიკური (Freud, 1917; Lacan, 1978), ისე თანამედროვე (Kristeva, 1991; Phillips, 2012) ფსიქოანალიტიკოსები გვიჩვენებენ, რომ ეს ფენომენი ინტრაფსიქიკური დონიდან იწყება, სადაც სუბიექტი მუდმივად ეძებს დაკარგულ ობიექტს და ვრცელდება ინტერფსიქიკურ რეალობაზე, რომელიც შესაძლებლობას ქმნის, დანაკლისის საფუძველზე წარმოქმნილი გაუცხოება კონსტრუქციულ ძალად გარდაიქმნას და აგენტობის დახმარებით თვითრეფლექსიისა და შემოქმედებითი თვითგამოხატვის წყაროდ იქცეს.

მიუხედავად ამისა, დანაკლისს ლინგვისტურ ერთეულად განვიხილავთ, კულტურის ნორმებით გაშუალებულ ფსიქიკურ მდგომარეობად თუ ყოველდღიური ფრუს-

ტრაციის თანმდევ მოვლენად, ფაქტია, რომ დანაკლისის ცნება ფსიქოანალიტიკურ ტრადიციაში დიდ გავლენას ახდენს ინდივიდის ფსიქიკაზე. დანაკლისით გამოწვეული ფრუსტრაციის ვალიდაციასა და სელფის „უცხო“ ნაწილების შესწავლას კი პოტენციური სარგებელი აქვს კლინიკურ პრაქტიკაში იმ ინდივიდებისთვის, რომლებიც დისტრესს განიცდიან შინაგანი გაუცხოების ან ქრონიკული უკმაყოფილების გამო. თუმცა, იმისათვის, რომ ამ თეორიულ მოდელებს პრაქტიკული მნიშვნელობა მიენიჭოს, აუცილებელია მომავალმა კვლევებმა დაადგინოს, როგორ შეიძლება დანაკლისის განცდა გახდეს ფსიქოთერაპიული ინტერვენციის სტრატეგიული ნაწილი, რომელიც მიმართული იქნება არა მხოლოდ სიმპტომების შემცირებისკენ, არამედ პიროვნული ზრდისა და თვითაქტუალიზაციის ხელშეწყობისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

Bolognini, S. (2004). Intrapsychic-interpsychic. *The International Journal of Psychoanalysis, 85*(2), 337–357. https://doi.org/10.1516/375F-R1HW-NX8X-96F0

Buchanan, I. (2018). *A dictionary of critical theory* (2nd ed.). Oxford University Press. Retrieved April 6, 2025, from https://www.oxfordreference.com/display/10.1093/acref/9780198794790.001.0001/acref-9780198794790-e-393

Freud, S. (1905). Three essays on the theory of sexuality (J. Strachey, Trans.). In J. Strachey (Ed.), *The standard edition of the complete psychological works of Sigmund Freud* (Vol. 7, pp. 123–246). Hogarth Press. (Original work published 1905).

Freud, S. (1923). *The ego and the id* (J. Strachey, Trans.). W. W. Norton & Company. (Original work published 1923).

Kristeva, J. (1991). *Strangers to ourselves* (L. S. Roudiez, Trans.). Columbia University Press. (Original work published 1988).

Lacan, J. (1978). *The four fundamental concepts of psychoanalysis* (J.-A. Miller, Ed., & A. Sheridan, Trans.). W. W. Norton & Company. (Original work published 1973)

Lacan, J. (1998). *The seminar of Jacques Lacan, Book XI: The four fundamental concepts of psychoanalysis* (J.-A. Miller, Ed., & A. Sheridan, Trans.). W. W. Norton & Company. (Original work published 1973)

Lacan, J. (2019). *The seminar of Jacques Lacan: Book VI. Desire and its interpretation, 1958-1959* (J.-A. Miller, Ed., & B. Fink, Trans.). Polity Press. (Original seminar held on May 13, 1959).

Laplanche, J., & Pontalis, J. B. (1973). *The language of psycho-analysis* (D. Nicholson-Smith, Trans.). W. W. Norton & Company. (Original work published 1967).

Maslow, A. H. (1943). A theory of human motivation. *Psychological Review, 50*(4), 370–396. https://doi.org/10.1037/h0054346.

Nobus, D. (2017). *Key concepts of Lacanian psychoanalysis* (1st ed.). Routledge. https://doi.org/10.4324/9780429476402

Phillips, A. (2012). *Missing out: In praise of the unlived life.* Farrar, Straus and Giroux.